

„დროების“ რედაქცია—სიმონსონოვის ქუჩაზე, ნა-ზაროვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ქილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: ВЪ ТИФЛИСѢ, ВЪ РЕДАКЦІЮ „ДРОБѢ“.

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით— 8 მ.; 9 თვით—7 მ. 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით— 8 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ. 6 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

დროება

ბამოლის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრუქტურის რედაქციაში, გენ-ცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებში.

თუ საქართვებამთავრებს, რედაქცია გაასწორებს და შეამოწმებს დასაბეჭდად გამოცხადებულ წერილებს დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპიკი.

„დროების“ ფასი აგვისტოს 1-დამ წლის დამლევამდე 4 მ. და 50 კ.

ჩაის ბუჩქის გაშენება ამიერ-კავკასიაში.

სხვათა საბუთთა შორის, რომ ამიერ კავკასიაში კარგად იხერხებდა ჩაის ბუჩქი, ჩვენ შეგვიძლიან მოვისხნეთ აგრეთვე პ. მოციქოვის მოწმობა. ამან მარზან რუსეთის გეოგრაფიულს ერთ-ერთს სხდომასზედ გამოთქვა, რომ, რამდენადაც მე პირად გავიცანი ჩინეთი და იაპონია, სრულიად შესაძლებელია და სასარგებლოც ჩაის მცენარისა და ბამბუკის გაშენება ჩინეთის ღელეზე და ამ ღელის ფერდობებზეო, ესე იგი ქუთაისის გუბერნიაში და მასთან ენლა ხანს შვერთებულს სოხუმისა და ბათუმის მახრამში 1000 ჟ. სიმალემდე, ზღვის დონედამ რომ ვიანგარიშოთო. ჩაის ბუჩქი ამ მეტეოროლოგს იაპონიაში უნახავს მთებშიც კი, საცა ზამთრობით დიდი თოვლი იცის და საცა საშუალო ტემპერატურა ორითა და სამით, ხოლო იანვარში ხუთი და ექვსი გრადუსით ნაკლებია ამიერ-კავკასიის ტემპერატურაზედო; ამასთანავე აქ წვიმა ისევე ხშირია, როგორც იაპონიაშიო და, რაც უფრო საყურადღებოა ჩაის

სიკეთისათვის, — ზაფხულობითაც ხშირია წვიმაო. მაგრამ თუმცა მოციქოვი ჰპოვებს, რომ ჰაეა შესაფერია საქართველოში ჩაისა და ბამბუკის გასაშენებლად, იგი ამ ქვეყნის ეკონომიურს ვითარებას სხვა ფრიც უტყერის. მართლაც, ისეთი სიძვირეა ხოლმე მუშისა, რიონის ხეობაზე ზაფხულობით (სამ-უზნლოთუნი და ოთხი აბაზი დღეში), როცა სიმინდია მოსავლელი, რომ ჩვენ ისრევე არ შეგვიძლიან შევეჯიბროთ ამ საქმეში ჩინეთს, როგორც ჩრდილო-ამერიკის შვერთებულს შტატებს, საცა დიდს ფულს ხარჯავდა მთავრობა ჩაის წარმოების გავრცელებისათვის, მაგრამ ახლა, უსარგებლობისა გამო, მიატრავა. აგრეთვე უსარგებლო გამოდგა ეს საქმე მუშის სიძვირისაგამო ბრაზილიაში და იავის კუნძულზე. მაგრამ, სამაგიეროდ, ასამში, მდ. ბრამპუტრის დაყოლება, ძალიან სარფა საქმედ შეიქმნა. 12 წლის განმავლობაში (1866—1877) ჩაის წარმოება ისე გაძლიერდა, რომ 1 1/4 მილიონი-დამ 32 მილიონ გირვანქა სტერლინ-გამდე ავიდა ფული, რომელიც მის გაყიდვით შემოდიოდა. ხოლო ინდოე-

თილამ 1856 წ. ჩაი გაჰქონდათ სულ 63,000 გირვანქა სტერლინგისა და 1881 წ. კი 3,000,000 გირ. სტერლინგამდე ავიდა ეს რიცხეო. თუმცა ზოგან კარგად ვერ წავიდა ჩაის წარმოება, მე მაინც სასარგებლოდ მიმაჩნია ეს საქმე ჩვენის სამშობლოსათვის. იმ აზრით, რომ გაციონოს ჩაის წარმოება დასავლეთში საქართველოში, სადაც, როგორცა ენახეთ ჩაის ბუჩქი მშვენიერად ხარობს, რაც გინდა უყურადღებოდ იყოს დატოვებული, მე მიგმართე რუსეთის ნაონობისა და ეპრობის საზოგადოებას და ეიცე-ადმირალის ჩინაზოვის შემწეობით, იელისში, იმ გემით, რომელიც ენლა ჩინეთშია და რომელსაც „დროფალი“ ეწოდება, ველი ხან-პოუდამ ჩაის ბუჩქებს; ამ ბუჩქებს წელსვე დაერგავ ბათუმის ახლო-მახლო, ზღვისპირად, რკინის-გზის გვერდზე. ისე როგორც აბრამუშის კიას ზრდა დიდ მემამულეთა საქმეს არ შეადგენს, მაშინ, როდესაც წერილობითად წარმოებული იგი ამდიდრებს მთელს ქვეყნებს, როგორც ჩინეთს, იაპონიას, საფრანგეთს და იტალიას, ისე მტკერისა და რიონის დაყოლებაც შეიძლებოდა წარმოებულიყო წერილ მემამულეთაგან ცოტა-ცოტათი ჩაი და კეთილ-დღეობის ახალ წყაროდ შექმნილიყო ხშირად დასახლებულ დასავლეთ-საქართველოსა-

თვის. არა მგონია, რომ ყოველს სოფლის მეურნე მუშა კაცს, გინდ გლენი იყოს, გინდ მცირე მამულის პატრონი ბურთასა და სამეგრელოში ან და ქვემო იმერეთში, არ შეეძლოს თავისა და ქვეყნის სასარგებლოთა თავის მიწაზე ჩაის ბუჩქის ხარება და მოვლა, უყეთუ მოიპოვებდა მას იაფ ფასად იმ ცნობებითუთ, რომელნიც კაცმა უნდა იცოდეს თვით ჩაის ფურცლის მოსამზადებლად. ასეთი სასარგებლო ცნობანი ადგილობრივ ხალხში შეუძლიანთ გააერცლონ მხოლოდ ჩინელების ან საინგლისო ინდოეთიდან გამოწერილს დახელოვნებულ მუშა-მეჩაიებსა. ხელის შეწყობა ამ გზით და ამ გვარად ჯანისათვის სასარგებლო და იაფ სასმელის მოყვანისათვის მით უფრო ღირსი და საყურადღებო საგანია, როგორც მთავრობისა, ისე საზოგადოების მხრით, რომ ჩაის საქართვებამთავრებს დიდა რუსეთში და დღითი-დღე უფრო-და-უფრო ვრცელდება იგი. რუსეთში უკვე 2 მილიონი ფუთი ჩაი შემოაქვთ ამ უქანასკნელს ხანებში ყოველ წლიც, რაც 60 მილიონამდე მანათი ღირს.

„დროების“ ჟელტონი, აგვისტოს 8.

ხაის ბუჩქი გონა. (მოთხრობა)

იქნებოდა ღამის ცხრა საათი, როდესაც სოფელს ქანობს რამდენიმე შეიარაღებული ცხენოსანი და ორი-ოდე მარხილი მიუახლოვდა. მხედრები სულ ემაწვილები, ნარჩევი და ერთი ერთმანეთზედ ლაზათიანები იყვნენ. ისინი მიდიოდნენ მხიარულად სიმღერით და თოფის სროლით. ამკარად ეტყობოდათ, რომ ესენი სამტროდ არ მიემგზავრებოდნენ, რადგანაც არც სიფთხილე ეტყობოდათ და არც ისე ბევრი იყვნენ, რომ ასე გულადად და პირ-და-პირ შესულიყვნენ ხევის სოფელში, რომელიც თავის თავად მთელს ძნელად ასაღებს სიმაგრეს წარმოადგენს. სოფელს რომ მიუახლოვდნენ, იმათ გამოეგებნენ იქაური ემაწვილი ბიჭები და ორივე ცხენოსანთ გუნდი ერთმანეთისკენ ყიყინით და თოფის სროლით გაეკანენ. სხენები მიდიოდნენ თავბრუს დამხვევის სიჩქარით. მისი პატრონები ელვასავით ატრიალებდნენ თოფებს,

ხან გაღიზიანებოდნენ, მიწას დასცემდნენ ხელს და ხან ისევ, ისარსავით სწორედ გამართულნი, ნაზის, გულ-შემტაცებელის რხევით ერთმანეთისკენ მიესწრაფებოდნენ. აგერ მიუახლოვდნენ ცხენების, თავები თითქმის ერთმანეთს სწვდებოდნენ. საცაა შეეჯახებთან, მაგრამ სწრაფად, თითქოს მანქანებით, ერთბაშად შეჩერებულნი, ქვისგან გამოკრილს სურათებს დაემგზავნენ და ჰაერში გაისმა მხიარული მისალმება: — ბა მშვიდობისათ! — მშვიდობითაც გივლიათ! ამის შემდეგ მოკითხვა, სალამი, ქალამი და ყველანი, ერთმანეთში არეულნი, გაემართნენ გაცალკევებულს სახლისკენ, სადაც სარკმლებიდან გაჩაღებული ცეცხლის შუქი და მხიარული ტამ-ფანდურას ხმა გამოდიოდა. ქარებთან გაცვივდა კიდეც თოფები და დამბახები, და ამ გრიალს შეუერთდა იქავ მაგროვილის ბავშვების ყიყინის ხმა და ცხენოსნები ჩამოხტნენ. პატარები მისცივდნენ ცხენებს, ჩამოართვეს და დაუწყეს წინ და უკან ტარება, რადგანაც გოაფლიანებულს ცხენებს ორთქლი კოჩიანტელსავით ადიოდათ და სიარულში შემორობა

ეჭირებოდათ, რომ ცივს ნივს არ დაეკრა და არ დაეხუთა. სტუმრები მოგროვდნენ კარებთან, შუაში ჩაიყენეს ერთი წამოსადეგი, ახლად წვერ-ულვამ აშლილი ემაწვილი ბიჭი, რომელსაც ნაბადი ჰქონდა წამოსხმული და გვერდს მოუყენეს მეორე ემაწვილი ბიჭი, უფრო მდიდრულად ჩაცმული და მთლად ოქრო ვერცხლით შეკედილი. შევლანი გაჩუმდნენ და ჩამოვარდა ისეთი სიმშვიდე, რომ ბუჩქის გაფრენის ხმასაც კი გაიგონებდით. ცოტა ხანიც და გაისმა წერილი, წერიალა ხმა „გვარულისა“, მას მისცეს ხანი და ჰაერი დაიფარა მდიდურის, ძრიელის და ამ ერთად ერთის საეაყკაცო სიმღერის ხმით, რომელიც თავის ჰარმონიით კაცს გაიტაცებს და სმენას დაუტკობს, ძრიელებით ძვალსა და რბილს აუთრთოლებს, სისხლს აუჩუხჩუხებს და სახელის გამოჩენას მოაწყურებს. ამ სიმღერას მხოლოდ მთაში მღერიან, მხოლოდ იქაურს მედიდურს ბუნებას შეეძლო ამისთანა ჰარმონიული ხმის დაბადება!.. ამ სიმღერას მღერიან ხოლმე მხოლოდ ომში, ხატებისა და დროშების გამოსვენების დროს და ქარწილში. მხლა ქარწილი გახლდათ. ნაბდიანი

კაცი, ბელა შიჩატაური, იყო სასიძო და მის გვერდით მყოფი ემაწვილი, მდიდრულად ჩაცმული მწიფე, შეილი განტქმულის «ხევის-ბერისა» ბოჩასი, რომელიც ბელას «ხელის მომკიდეთ» მეჯვარეთ მოჰყოლოდა. II სტუმრები შევიდნენ ხალხით გამოქედილს სახლში, სადაც უფროსი კაცები მოეგებნენ, დაულოცეს სასიძოს გზა, შემოატარეს კერა და ხელის მომკიდესთან და სახლის უფროსთან ერთად კერის პირას თავში დასხეს. აშლილი ხალხიც ისევ დალაგდა, გაიმართა ისევ ღიზი და თასები გაგზავნენ-გამოგზავნა ჩვეულებრივის „სმურებით“*). აქ იყვნენ მარტოკა კაცები, ქალები არსადა სჩანდნენ. მათი ხმა მოისმოდა სახლის უკანა კუთხიდან, სადაც სცენა იყო გამართული. იქ გაემართათ ტამ-ფანდურა და იქვე მიეზიდათ ემაწვილი ბიჭები, რომელნიც გატაცებით შესცქეროდნენ ღაზათით საცე მოლექურე ქალებს.

*) „სმურს“ ეძახიან სიმღერით ლექსის შესხმას, რომელიც მთაში აუცილებლად მოსდევს ერთსგან მეორესთან თასის გაგზავნის დროს.



ძველის მწერლობის მოყვარე პირს განუზრახავს «როსტომიანის» დაბეჭდვა. როსტომიანი ბელეტრისტული თხზულებაა, ლექსად დაწერილი და ნათარგმნიასპარსულიდამ. სპარსულად ამ თხზულებას ჰქვიათ «შაჰ-ნამე» (მეფეთა წიგნი); დაწერილია მე-XI საუკუნეში გამომხენილის პოეტის ძირდოუსისაგან. მართლთა თარგმანს ამ წიგნისას მიაწერენ მე-17 საუკუნეს მწერალს ხოსრო ოურმანიძეს, თუმცა ეჭვი არ არის, რომ უფრო ძველი თარგმანები უნდა ყოფილიყო ამ შესანიშნავის თხზულებისა, რომელიც სპარსეთის ისტორიის გმირულ პერიოდის დროს გამოჰხატავს და საფუძვლად გმირული ეპოსი და ხალხის ზეპირი გარდმოცემა აქვს ტურანისა და ირანის (სპარსეთის) განუწყვეტელ ბრძოლაზე ერთმანეთ შორის.

ამ წიგნზე და მის გამოცემაზე დაბეჭდავთ ვრცელს წერილს ჩვენს გაზეთში.

== სილნალიდამ გვერენ: წარსულის თვის სიციხეებმა ძრიელ აზარალეს გაზაფხულის მოსავალი. სიმინდის და ფეტვის ყანები ზოგ ადგილს აიშუშა, ვენახებიც ზოგან ძრიელ დააზიანა ნაცარმა და სიციხეც შეაწუხა; ყანები სულ დაიმკო და ეხლა განაღებულნი ლეწვან. შაჰრობა ჯერ ისევ «დამწეა». სილნალელებსაც შეეშინდათ ხოლმერისა, ამოიჩიეს რამდენიმე კაცი და ასუფთავებინებენ, როგორც ქუჩებს აგრეთვე ეზოებს, მაგრამ ჯერ კიდევ ბლომა უსუფთაობაა ჩვენს ბედნიერს ქალაქში. ივლისის გასულს წვიმაც გველირსა და ახლა ჩვენ ბედს ძალიც აღარ დაჰყევს.

შველანი მხიარულად თამაშობდენ, მაცდურად გაუბრალოებოდენ ყმაწვილ ბიჭებს, რომელსამე „მე ბიჭს“, ეშმაკად ჩაუკრებდენ თვალსა და ესეც აღგზნებული რალაცა ძალით, წახალისებული გაეიდებოდა ხან წყნარად დამშვიდებულს წყალსავით მიმდინარს და ხან მთის მდინარესავით გაცოფებულს და გაშმაგებულს ქალსა.

აგერ მირბის, დამკრთალს არჩესავით, მოხევის რომელიმე შავთვალა ქალი, მისი სახე სრულს შიშს გამოსთქვამს, რადგანაც არწივსავით მკლავებ გაშლილი კაცი მისდევს თავის მსხვერპლს. ნაზი ქმნილება თან-და-თან ღუნდება, კაცი ეწევა, აი წუთიც და გულში ჩაიკრავს შეშინებულს ქედანსავით აკანკლებულს ქალს, მაგრამ მოლოდინი არ უმართლდება. მართბამად მარად გატრიალებული ქალი ხელიდგან ეცლება, და მეორე მხარეს გამხტარი ფეხებს ათამაშებს. მულ დაწყებული კაცი გასცქერის და ხედავს თავის მსხვერპლს მომხიბლავის ღმილით და მოუტუქუნე თვალეზით, რომელნიც იმას იწვევენ, იპატიებენ და თითქოს ეუბნებიან. «ღამიჭირე და მე გავრძობინებ სიცოცხლის სიტკობებს!»

მნისე და ბელა, რომელთაც ღღეს დარბაისლობა უნდა გამოეჩინათ, ის-

ამას წინად გაზეთში დაბეჭდილის ამბის გამო აღრინდელ დაკარგულ ფულების თაობაზე, — კორესპონდენტი გვერს შემდეგ: ნაზოენ ფულში არის ვერცხლის მანეთები და ოქრო ყვითელი. პლატინა არ ურევიან ჯერ იპოვეს მხოლოდ 100 მანეთი ყვითელი რუსის ოქრო, 21 მანეთი გოლლანდის 3 მანეთიანი ჩეკონცები, 157 ცალი ვერცხლის თითო მანეთიანი (ჯერიანი მანეთებიც ურევიან), 1 ცალი 75 კაპეიკიანი სულ ოქრო და ვერცხლი 278 მან. 75 კაპ. ეს ნაზოენი ფულები ინახება სილნალის მაზრის ხაზინაში.

== მ. თელავში იქაურ ახალგაზღობას განუზრახავს ქართულისა და რუსულის წიგნების ბიბლიოთეკის დაარსება. მს ბიბლიოთეკა პირველად, რასაკირველია, მცირე იქნება, მაგრამ თან-და-თან, იმედია, ზოგი შეძენით და ზოგიც კერძო პირთაგან წიგნების შემოწირულობით გაძლიერდება, გავრცელდება და აქაურების გონებრივს მოთხოვნილებას ცოტად თუ ბევრად დააკმაყოფილებს. ღღეს თელავის საზოგადოება თითქმის ყოველგვარ გართობას მოკლებულია. მისაც წიგნის კითხვის ინტერესი აქვს, ის მუდამ ფოსტას შესცქერის და ჟურნალ-გაზეთებს ელის, მაგრამ ამ ცდაში ხან-დის-ხან ძრიელ დიდი ხანი გადის ხოლმეო.

== ხაშურიდამ გვატყობინებენ, რომ იქ ყივანა ხველა გავრცელებულია და ბავშვებს ზარალს აძლევსო. წრევანდელს ზაფხულს თითქმის მართლის ყველა კუთხიდან უჩივიან ამ ბავშვე-

დენ გაუნძრევლად, თუმცა გული და სული გამხიარულებულს ყმაწვილებთან ჰქონდათ და ჩუმჩუმად გასცქეროდენ იმ მხარეს, საიდგანაც ღმინი და თამაშობის ხმა მოდიოდა. ბელა იწოდა სურვილით, რომ თავის სანატრელის ძიძისთვის თვალის შეყრა და მნისე კი რომ — კორებრივი თვალის გავყარა ვისთვისმე განუჩივებოდ, ვინც უნდა ყოფილიყო ისა, ოღონდაც არის მის თვალესაც ელვარება ჰქონოდა, ტუჩებს მიმხიდებოდა, ლოყებს სიყმაწვილის ელფერი და გულს სისხლის ამაჩუხებებელი ძალა.

აუ გაიარა რამდენიმე წუთმა, როდესაც ხალხი გაიპო და მათ შორის გამოჩნდა ვიღაცა მოხუცებული დიაცი. შველანი ზეზედ წამოდგენ და მიესალმენ მოხუცს, რომელიც პირდაპირ «ხელის მომკიდესთან» მივიდა, ჩაიკრა გულში და უთხრა.

— აბა, ჩემო ყველავე, ჩემ ქალაშავას შენ გაბარებ... შენ უნდა მოუყარო, შენ უბატრონო. — იმის გამჯავრებელი შენ უნდა გააჯავრო.

— ღმერთს არ მოეკუყუების, ხაზუგა, რომ რაიც ხელიდგან გამამიე, თავს არ შევიშურებ, — უპასუხა ყმაწვილსა კაცმა და დაუმატა არა სახუმრო კილოთი; — ვინც მაგას აწყენებს, იმას ჩემთან ექნების საქმე და ღთის მადლმა ჩემთან მასხარობას-კი არცვის არ უჩრჩევ.

ბის სენს. შივანა ხველა ჯერაც არ გამკრალა ბარში, სოფ. ტყევაში, შროანის ხეობის სოფლებში. ღღეს კიდევ ხაშურიდამ უჩივიან ამავე სენს, მაგრამ კარგია კიდევ, რომ ყივანა ხველას რკინის გზის მოსამსახურების ოჯახებში დაუბუდებია. ისე ვერ შეხვალ ცოლშვილიან რკინის გზის მოსამსახურის ბუდკაში, რომ ყივანა ხველით ავადმყოფი ბავშვი არ დაგვხდესო. სოფლებში კი არ არის თურმე ეს სენი, თორემ, შენი მტერი, სოფლელ ბავშვებს უფრო მეტს ზარალს მისცემდა, რადგან მათ არც მოვლა აქვთ, არც ექიმი ჰყავთო. რკინის გზაზე თუმცა ექიმი არის, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს უკანასკნელი ყურსაც არ იბერტყავსო: ქინაქინა მაინც ვერ მოარჩენს ყივანა ხველას და ტყუილი თავის შეწუხება რა ჰკუთა იმისგანაო.

== იქილამვე დაუჯერებელს და შემადრწუნებელს ბარბაროსულს ამბავსა გვერენ. ჩვენ ეს ამბავი არა გვეჯერა, თუმცა კი მოგვყავს აქ: ვიღაც თავაწყვეტილ არტისტებს შეუწინავეთ რომ ვაგზალზედ ერთი სოფლელი კაცი დადის ქალით. ძარვა რომ შებინდებულა, უთხლენიათ სილა კაცი-სათვის, რომელსაც თვალის დაბნელება და ამ დროს ქალი ტყეში მოუტაცნათ გასაუბრატურებლად ბარბაროსულის ძალდატანებით. მეორე დილას ქალი, სირცხვილით გაწურული, ტანისამოს შემოფლეთილი და ნამუს ახლილი შემოვიდა სოფელში, სადაც სხვა ქალმა ათხოვა მას თვისი კბა.

წინა ღღეს, სადღით უკან, ექვსი ქალი ბანაობდა მდ. სურამელაში ერთს

— ბელაი ბაღლია, — დაუმატა მოხუცმა, — და სოფელი კი ქრელი... ძაცის ენას რაი არ შეუძლიან, დაბრიგოდენ ეს ბაღლი, ცხრთა ენას ნუ მიჰყვები, ქვეყანაზედ მტერი არ დაილევის და იმათ სიტყვას რა მიჰყევს ე მაგ ქალა-შავას ჩამომიდნობს, დამილევს...

— რისთვის, რისთვის ანბობ მაგას ხაზუისი! გააწყვეტინა მნისემ. — ბელაი მართალია ბაღლია, მაგრამ არაა ლოთი და ავარდნილი კაცი... ამხანაგებს თავის მარჯვენა თოლსავით უყვარსთ, ყველა თავს დასდებს მაგისთვის, ამიტომ რომ თავად ბელაც ეგეთია მეზობლებისთვის... ბელაი ვაჟკაცია და ღთის მადლმა ჯალაბობაშიაც თავს არ შეირცხვენს.

— შენს პირს შეპარი, ჩემო ყველავე, შენს-პირს შეპარი! — უპასუხა მოხუცმა და დაუმატა: — ნუ დამძრახავ, მნისისი!... ცას შევებრდი, ადამის ქმისა შევიქენ და მაგ ერთი ქალის მეტი არა გამაჩნია-რა... მაგაზედ ამომდის მზე და «მთორე», მაგაზედ-ღა ეიბრუნებ სულსა.

— ძარგი-ღა ხაზუისი, სტუმარი ნულარ შეაწუხე, — დასძახა ვიღაც მოხუცებულმა კაცმა და დაუმატა: — წაიყვანე და ბატარძალი ჩაბარე.

— აგრე, აგრე შენაი ქირაიმე... იარე მნისე. მოხუცი დედა-კაცი გაუძ-

მიმალებულს ალბასს, მტრის ტყვეს ჩაშურის ვილაც მედუნეჭყა... წმინტულიან მათ და დაესხმიან თავს. ძალები შეშინებულები, გამოცვიდებიან წყლიდამ და წამოისხამენ ტანისამოსს. მაგრამ დასაბმელი მხეცები არა წყნარდებიან, ვიღვე ვინმე მა — ესკი არ შეაყენებს ამ მშვიდობიანობის დროის ბაზიბოზუყებს. მა — ესკის ამ გვარის საქციელისთვის სცემენ ეს არტისტები, ხოლო ქალები ალიაქოთით სარგებლობენ და ჰშველიან თავს.

წერილი რედაქტორთან.

ბ. რედაქტორა!

«მწყემსის» 13 №-ში დაბეჭდილი იყო ერთი წერილი, რომლის ავტორი სწამებდა პატივცემულს ალექსანდრე ენისკოპოსს, რომ ვითომ მისს ყოველადუსამღველოცობას: ა) 20,000 მანეთის შეკრება მთელს საქართველოს საეპარხოსოში განეზრახოს გალობის ნოტებზე გადასადებად; ბ) ვითომც ყოველად-სამღველო არ აღიარებს გურული კილოს არსებობასაც და სრულიად უარ-ჰყოფდეს მას; გ) ვითომც ყოველად-სამღველო წინააღმდეგი იყოს ნოტებზე გალობის გადაღებისა და მისს ნაცვლად თხოულობდეს «მასწავლებლების სასწავლებლებში დაყენებას» — გალობის აღსადგენად; და ვითომც და ყოველად-სამღველოსავე გამოეცხადებინოს (ზურაში) და მთავრობისთვისაც მოხსენებინოს, რომ «ღროება» და «მწყემსი» გურულ კილოს ამაგებენო და მართლისა კი მოსწონთო.

ამ დღეებში ჩვენ გვეკონდა პატივდღეა მნისეს და ბელამ-კი შურით ავსებულნი თვალეზი ვაადვენა, რადგანაც იქ უნდა დაჩინილიყო და ძიძის ხილვამდის კიდევ რამდენიმე საათს უნდა გამოეყო.

III

დაბნელებულს სენაში, რომელსაც ოღნავ ანათებდა მჭუტავი კვარი, კასრებსა და ქილებს შუა იჯდა პატარძალი ძიძია, თავის რამდენიმე ამორჩეულის მეგობრებით, რომელნიც მის გართობას ცდილობდენ.

ძიძია იყო თექვსმეტის წლისა, მასადამე, ასაკში მოსული ქალი, სრულიად გაშლილი და გადაფურჩქნული, სიტყვით, იმ ხანში, როდესაც ძარღვებში აღელვებული სისხლი ქაფდება, სდულს და ჩუხჩუხით მომდინარეობს, როდესაც გული მიილტვის რალაცა ჯერედ უცნობის ბედნიერებისაკენ და თრთოლით შესთამაშებს ყვავილებს და ბუნებას, სიცოცხლე ედემად ეშობება, ცხოვრება სიამოვნობის ნექტარს ექადის. ის იყო ტანადი, ლამაზი, მშვენიერის დაკორებულის ლამაზის თხელის ტუჩებით, რომელნიც თითქოს საკონცენოლდ მომზადებულიყვნენ. მეთრს ყირმიზს, ატლასის მსგავს სახეზედ დასთამაშებდა მხურვალეზის ნიშანი ელფერი, რომელიც თავის დღეში გატყაპულს სიწითლედ არ



ცემულ ეპისკოპოსს ალექსანდრესთან საუბარი ამ წერილის თაობაზე. მისი ყოვლად-უსამღვდელოესობა არ დაკმაყოფილდა ჩვენდამი მომართული თავის დამარწმუნებელი და განიერი სიტყვებით მართა, არამედ გვიჩვენა საქმის შესახებ ყველა ოქციდალური დოკუმენტები, სინოდალური კანტონიდან გამომდინარე. ჩვენ ყურადღებით მოვისმინეთ მღვდელთმთავრის სიტყვები, გულ-დასმით გადავიკითხეთ მოხსენებული დოკუმენტები და სრულიად დავრწმუნდით, რომ:

ა) 20,000 მანეთი იმ განზრახვით იბოჭება, რომ მისი სარგებლით დაქირავებულ იქნას გალობის სამი მასწავლებელი; ბ) ყოვლად-სამღვდელო არათუ უარ-ჰყოფს ბურულს კილოს და მისს არსებობას, არამედ კიდევ მოსწონს იგი, მაგრამ აღიარებს, რომ ეს კილო დღეს-დღეისათვის მოქალაქეობრივობას ვერ მოიპოვებს მართლ-მართლში; გ) ყოვლად-სამღვდელო წინააღმდეგი კი არა, დიდ მომხრეა გალობის ნოტებზე გადაღებისა, მხოლოდ მისსა და ზოგიერთს სხვების მომხრეობასა შორის ის განსხვავებაა, რომ ყოვლად-სამღვდელო დაბეჯითებით თხოულობს, რომ ნოტებზე გადაღებულ იქნას უთუოდ ორივე კილო ქართული საეკლესიო გალობისა: ქართული (ანუ უკედესტეკათ ქართული-შვილებისა) და ბურული. მართლური კილოს გადაღებისათვის საჭირო ხარჯს მისი ყოვლად-უსამღვდელოესობა იღებს თავის უნებისა და საზოგადო საქმეთათვის უშურველის ჯიბიდან. ამას იმიტომ უფრო შერბობს საპატივო მღვდელ-მთავარი, რომ ბურული კილოს ნოტებზე

გადაღება ეკლესიებს გაუადვილდეს; რადგანაც უამისოდ მათ ორივე კილოს გადაღება დაატყდებოდა თავზე. ბურული კილოს ნოტებზე გადაღებისათვის საჭირო ხარჯი გასტუმრებული იქნება იმ ფულებით, რომელიც შემოვა ეკლესიებისაგან, ნოტების ყიდვიდან მხოლოდ იმ ფულით კი, რომელიც ღვინის მოკრებიდან ანუ მომავალში მოიკრებება გალობის საქმისათვის, ვიმეორებთ, უნდა დაქირავებულ იქნას გალობის სამი ოსტატი საქართველოს სამს სასულიერო სასწავლებელში.

შემო თქმულის შემდეგ თავის-თავად ირღვევა და ფუქსავატდება, როგორც ის სიტყვები, რომ ვითომც „ყოვლად სამღვდელო ალექსანდრემ აქაც (ბურიაში) გამოაცხადა და მთავრობასაც მოახსენა დროება და მწყემსი გურულ კილოს ამაგებენ და მართლისა კი მოსწონთო, აგრეთვე წინაუხედავი სიტყვები «მწყემსისავე», მე-14 ნომერში დაბეჭდილის, სტატიის ავტორისა, რომელიც უსაფუძვლოდ სწუხდა: ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე ეპისკოპოზი წინააღმდეგი ყოფილა გალობის ნოტებზე გადაღებისა და კომიტეტისაო და ჩვენ წინადაც გვითქვამს და ეხლაც ვიტყვი, რომ ნოტებზე ქართულის გალობის წინააღმდეგი კაცი (ავტორის აზრით ალექსანდრე ეპისკოპოზი რაღა!) ჩვენ მიგვაჩნია ქართული ენის მტრადაო».

ღმერთმა ქნას, რომ იმისთანა მტერი, როგორი მტერიც არის მღვდელ-მთავარი ალექსანდრე ქართული გალობისა და ენისა, ბევრი ჰყოლოდეს

როგორც ამ გალობას და ენას, ისე ყველა ჩვენს საზოგადო საქმეებსაც. ს. მართლის მომხრე.

სველგრაძები

(„წმინდა ეთის საგვარცხანა“)

ავგისტოს 5-ს

პრონოზატი. 3 ავგისტოს შეაღამიდა დაიწყო ზღვის მანევრები.

პეტარბურგი. ხმების, რომ პროექტი სდგება კენგრადიდან კასპის ზღვამდინ რკინის გზის გაყვანის თაობაზე და იმის გამოსაკვლევად, თუ საით გაატარონ ეს გზა, დანიშნულია 6,000 მანათი; სდგება პროექტი აგრეთვე იმის შესახებაც, რომ ვლადივოსტოკი და ბრესე შეაერთონ რკინის გზით ესუროსთან, და შემდეგ ხაზაროვკასთანაც.

ლონდონი. აქ მოვიდა ამბავი, რომ ჩინეთმა უკან წაიღო წინადადება საფრანგეთის დასაჩუქრების შესახებ და გადასწავილა იმი გამოცხადოს; ტონკინის სამუდგრებზე დიდ-ძალს ჯარს აგროვებს ჩინეთი.

პარიზი. ლონდონიდან მიღებული ამბავი იმის გამოცხადების შესახებ ჯერ არათურთ არა მტკიცდება.

ტუნიზი. იმ პროვინციებში, სა-

დაც ხოლოდნა განჩინდა მისი წმინდა შემთხვევა ტუნის-სამხრეთის ავადგანდომისა; 13 ავადგანდართაგანი მოკვდა.

კონსტანტინი. ექიმთა ხალხთა შორებრივი კონგრესი დაიხურა, შემდეგი კონგრესი ვაშინგტონში დანიშნეს.

პარიზი. პარლამენტის სესია დაიხურა; გაზეთები ამტყუნებენ იმ სამწუხარო ამბებს, რომელიც ჩინეთიდან მოდიან. ხოლოდნით მოკვდა: მარსელში 6, ტულონში 2 და პერინიანში, ესპანის სამზღვრის მახლობლად 11 კაცი.

ავგისტოს 6-ს

ლონდონი. გაზეთი „ტანოს“ ცნობა, ვითომც ჩინეთს ომი გამოეცხადებინოს საფრანგეთისათვის მტყუნდება, ჩინეთის მართებლობამ მხოლოდ პროტესტი გამოაცხადა საფრანგეთის მოქმედების შესახებ და სიზოვა სახელმწიფოთ შეამავლობა მოსარჩევლად.

პარიზი. დღეს ტინანში, საფრანგეთის მთავრობის თანადასწრებით ეკურთხა ახალი ანამის მეფე; ჭრანკუზება დაიჭირეს გიუეს ციხე.

მაირი. ნილოსით წასასვლელად ვადიჰალფში მომზადებულნი არიან სამი ბათალიონი ინგლისის ქვეითა ჯარისა, ღუსართა ესკადრონი და ქვეითა ჯარის

გადადიოდა; მოკუტუნენ ლურჯი ცის ფერი თვალები, მაცდურად უკამკამებდა და გულის გამამირაეს ისართ ისროდა; შავი გრძელი წამწები ვარს მცველებად მოსდგომოდა და წვრილი, ხვერდისებრივი წარბები გულად გადასქიმოდა; სქელი შავი თმა ორს ნაწნავად თეთრ ბროლით ყელს, სუროსავით შემოხვეოდა, სიტყვით, ძიძია ნახატი მშვენიერება იყო და მისი მწახველი ვერ გასძლიებდა არ ეთქვა: „ცხონდეს შენი მშობელიო“.

ძიძიას შესტრფოდენ ბევრი, ძალიან ბევრი, რამდენჯერმე მისი მოტაცება-კი სცადეს, მაგრამ, როგორც ეტყობოდა, მისი ბედ-იღბალი ბელა იყო და მას დარჩა.

რაკი ბელამ თავისად დასახელა ძიძია, რაკი ქალმაც პირობა მისცა, იმას ისე ადვილად ვეღარავინ რასმე გაუბედავდა, რადგანაც ამ გვარს შემთხვევაში ბელას ხუმრობა არ უყვარდა და მალე დაბნელებდა იმის მხეს, ვინც წინ გადადგომას მოიწადინებდა.

თუმცა ძიძია თხოვდებოდა თავისის სურვილით, თუმცა მოსწონდა თავისი ბელა და არა ერთი ღამე გაეთენებინა მასთან ჩქარა შერთებაზედ ფიქრით, არა ერთხელ მოხმანებოდა მისი ლომებრივი, ვაჟკაცის სახე, მაგრამ დღეს, როდესაც ის უნ-

და გამოსალმებოდა თავის სახლს, მეგობრებს, ჩვეულებას, როდესაც ქალობიდან დედა-კაცობაში პირველი ნაბიჯი უნდა შეედგა, გული როგორღაც აუკანკალდა და წარსული შენანდა. ამ წარსულს ის კარგად იცნობდა, კარგადა ჰქონდა იგი შეთვისებული; ის იყო ყოველთვის და ყველასგან განეზივრებული, ყველას უყვარდა, ყველა უაღერსებდა და ვინ იცის მომავალიც ამასვე მისცემდა?

მალი ჰგონობდა რაღაცა ინსტიტუტის მღვდლარებას და ანგარიში ვერ მიეცა თივის თავისთვის. ამ მდგომარეობას მოვარა მისთვის ფერი, ნაზად გავსრიცა და ამ ფერს კიდევ უფრო მეტად დემშვენებინა მისი ანგელოზებრივი სახე.

მეგობრები ანუგეშებდნენ, ესუმრებოდნენ, როდესაც მოისმა ხმა:

— ხელის მომკიდევ მოდის, ხელის მომკიდევ! და ყველანი ზეზედ წამოსცივდნენ. ძიძიამ იგრძნო, რომ თითქოს მას გულში რაღამაც უჩხელიტა, მთელს სხეულში გაუბრინა რაღაცა უსიამოვნო გრძობამ და ფეხზედ წამოდგომით საჩქაროდ ჩამოიფარა პირბადე.

მთახში შემოვიდნენ ხაზუა, ვილაცა მოხუცებული კაცი, მისი და ყმაწვილი ქალები, რომელნიც შემოე-

ხეინენ ძიძიას. დაიწყეს გამოსასალმებელი სიმღერა, სადაც საგრძობლოს სიტყვებით ყმაწვილს ქალს თავის წარსულთან და მეგობრებთან ასალმებდნენ და ტირილით და კოცნით თითონაც ესალმებოდნენ.

ბოლოს შესწყდა სიმღერა, მოხუცმა კაცმა ანთო წმინდა სანთელი წყნარად გადიწერა პირჯვარი, მივიდა ქალთან, გამოართვა ხელი, ახსენა ხეური ჯვარ-ანგელოზები და მიუბრუნდა მისის:

— მისივე! აჰა, ჩავიბარებია თქვენთვის ქალი წრფელი და შეურცხვენელი... ღღის ამას იქით შენ ავირჩევიხარ ამის ძმად. — ამ სიტყვებზედ იმან გადასცა მისის ქალის მორთოლოვარე და გახურებული ხელი.

მისივე რაწამს ამ ხელის მიკარება იგრძნო, როგორღაც შეკრთა, დაბნა და თითონაც გაჭრკოლდა, თუმცა ამ გვარი მდგომარეობის მიზეზი ვერ აეხსნა.

— აბა შენ იცი და შენმა კაცობამ, როგორც დღეს ამას იქით მოუვლი და უპატრონებ... თქვენს სოფელში შენს მეტი პატრონი არეინეყოლებს, შენ უნდა გაუწიო ძიძია.

— აბა, ღმერთს არ მოეტყუებ, რომ თავს დავებ მაგისთვის. მოხუცი მივიდა, წყნარად ასწია პირბადე სწორედ იმ დროს, როდესაც მისივე ამბობდა:

— მე და და მე ძმა...

მაგრამ სიტყვა ნახევარზედ გაუწყდა, მთლად გათრთოლდა და მთვრალსავით წაბარბაცდა, მაგრამ თავი ისევ შეიკავა.

— რაი მოგივიდა? მიეშველა მოხუცი.

— არც-რა, არც-რა... დამცხა, თავს ბრუ რასმე დამეხვა, — ძლიეს-ლა წარმოსთქვა მისის.

— ბევრი თუ არ სეი?.. მაიტა-ლა წყალი, — მიუბრუნდა მოხუცი იქმყოფებს.

— არ მინდა, შენაი ქირაიმე, უბასუხა კაცმა, რომელსაც ქალის ხელი ჯერ კიდევ არ ვაეშვა, თუმცა ჰგონობდა, რომ ეს ხელი სწავდა, სდაგავდა მას, უღვლებდა სისხლს და გონებას აფანტებდა.

მისივე მოისვა შუბლზედ ხელი, მაგრად მოიწურა ოფლი, პირ-და-პირ შეხედა ქალს და ხმა მალა მტკიცედ წარმოსთქვა:

— იყოს თავდებოთ ბევით ღმერთი და ქვემ დედა-მიწა, რომ ძიძია დასავით მეყვარება, გაუწყვე ძიძობას, მაგისთვის ძმაზედ უფრო მეტი ვიქნები! ამ სიტყვებზედ ქალის ხელი კიდევ ერთხელ შეკრთა, კიდევ წყნარად გაჭრკოლდა, ერთი შეხება და მაშინვე თავი დახარა. წინაშე, მაგრამ ძრიელმა ოხვრამ, მისის სიტყვა გაუწყვიტა პირში და გული მოუსვენრად გაუფართხალა.

ს. მანხუბარძი.

(გაგრძელება)

რანში, რომელსაც ცხენზე შეკვს-
ხამენ. ამბობენ, რომ ხართუმი
მშვიდობიანობაა.

აგვისტოს 7-ს.

კამბრპური. დიდი მთავარი მი-
ხეილ ნიკოლოზის-ძე გუშინ წა-
ვიდა თავის შვილებით მიხეილი
და გიორგი მიხეილის-მითურთ
კიევისა და ოდესის სამხედრო
ოქლის დასათვალიერებლად.

თითო ნომრებით გაზ. „ნო-
ვოსტის“ გასიძვრა ხელ-ანდამ
ნება-დართულ იქნა.

რამი. უკანასკნელ ორის დღი-
სა და დამის განმავლობაში სენით
მოდებულს ადგილებში გახდა ავად
ხოლო 27, რომელთაგან 19
კაცი მოკვდა.

განცხადებანი

მუთაისის სათავად-აზნაურთა სკო- ლისაგან.

ალექსანდრესად წოდებულის მუთაი-
სის სათავად-აზნაურთა სკოლის მზრუნ-
ველობა, დანიშნული „მართელთა
შორის წიგნის ცოდნის გამავრცელებ-
ლის საზოგადოებისაგან“, აცხადებს
მუთაისის გუბერნიის თავდაზნაურე-
ბის საცნობლად, რომ მუთაისის სა-
ადგილ-მამულო ბანკის საზოგადო
კრების სურვილისამებრ, ხსენებულის
სკოლის პირველისა და მეორე გან-
ყოფილების პარალელური კლასე-
ბი გადატანილ იქნება წელს ძველს-
სენაკს, სენაკის მაზრაში.

საზოგადო კრების გარდაწყვეტი-
ლების თანახმად ეს ძველის სენაკის
სკოლა არის დანიშნული ყმაწვილების
მისაღებად სენაკის, ზუგდიდისა და
მ. ზურგეთის მაზრებიდან და მუთაის-
ში დარჩენილი სკოლის კლასები და-
ნიშნულია მუთაისის, შორაპის, რა-
ჭისა და ლენხუმის მაზრებისათვის.

წლიური სწავლა, როგორც მუ-
თაისის, ისე სენაკის სკოლაში, დაიწყ-
ება მომავალს პირველს სექტემბერს
და ვისაც ამ სკოლებში ყმაწვილების
მიბარება სურს, უნდა მიმართოს თხოვ-
ნით: მუთაისში — მზრუნველობის სეკ-
რეტარს თავადს ანტონ ნიკოლოზის-
ძეს ლორთქიფანიძეს, მცხოვრებს ნემ-
ცების ქუჩაზე, კნინა ლ. მატუტა-
ძის სახლებში, და ძველს სენაკს — სკო-
ლის ზედამხედველს სამსონ შიფიანს.

თხოვნა ყმაწვილების მისაღები და
ამასთანავე მეტრიკული, ან მღვდლის
მოწმობა ყმაწვილების დაბადებასა და
მონათვლაზე, უნდა წარუდგინონ
აღნიშნულს პირებს ოცის აგვისტოდ-
გან პირველს სექტემბრამდის.

სკოლის პირველს განყოფილებაში
მიიღებიან მეწიდეცა და ან მეორე
წელში მდგომი ყმაწვილები, რომელ-
თაც წიგნი ჯერ სრულიად არ უსწავ-
ლიათ და მეორე განყოფილებაში —

ცხრა წლისაზედ არა უნესი ბავშვები,
რომელთაც უნდა იცოდნენ ქართული
წერა-კითხვა და ყოველ გვარი ანგა-
რიში ათამდის.

მუთაისის სკოლაში წელს მიიღე-
ბიან ყმაწვილები მხოლოდ სკოლის
პირველს განყოფილებაში, რომელ-
შიაც ირიცხება ორმოცე თავისუფალი
ადგილი, და მეორესა, მესამესა და
მეოთხე განყოფილებაში კი ყველა
ვაკანსიები დატყრილია.

ძველის სენაკის სკოლის პირველს
განყოფილებაში არის თავისუფალი
ორმოც-და ერთი ვაკანსია და მეორე-
ში ოც-და რვა, რადგანაც ერთი პირ-
ველის განყოფილების და თოთხმეტი
მეორე განყოფილების მოწაფეები უნ-
და გადავიდნენ მუთაისიდან სენაკის
სკოლის ნაწილის გადატანისათვის.

ბანკის საზოგადო კრების გარდა-
წყვეტილების თანახმად, ზემოაღნიშ-
ნულის თავისუფალის ვაკანსიებისაგან
სენაკის მაზრას ეკუთვნის ოც-და-რვა
ზუგდიდისას — ოც-და-ოთხი, მ. ზურგე-
თისას — ჩვიდმეტი, მუთაისისას — თუ-
თხმეტი, შორაპისას — ცამეტი, რაჭი-
სას — შვიდი და ლენხუმისას — ხუთი.
(3—1)

ინგლისის მალაზია

Maison de confiance

შეადარეთ ჩვენი ჩაი	მოსკოვის ჩაის
1 შ. 10 კ.	1 შ. 40 კ.
— — 1—20	— — 1—60
— — 1—40	— — 1—80
— — 1—60	— — 2—
— — 1—80	— — 2—50
საგვეთესო 2—	— 3—

იქვე ისეილება სხვა საქანელიც: თო-
ფები, რეკლამები, კარატები, ჭუ-
რჭული, ჩაიდნები, გასადებები, დასები,
გოგონები, ტაშტები, კაღები, ქაღალდი,
შოკოლადი, კაგა, კანფეტები, მურაბე-
ბი, მაგნეზია, უნაგირები, გლეხკა,
წინდები — კაცისა და ქალისა, ხელ-სახ-
ტები, მაკინტოშის გაჯეკები — სულ
ეკვლაფერი 25-დან 50 შროცენტით უფ-
რო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მა-
ლაზიაში.

გინც ქალაქს გარედან 25 მანეთად
1,000 მანეთამდინ საქანელს გამოი-
წესს, გასაგზავნს ჩაფურს ან იხ-
დის. (100—48)

გამოვიდა

საბა-სულხან ორბელიანის

ლექსიკონი

პეტროს სურათით და ისეილება
ანჩახტის ეზოში მღვდლის შრიგოლ
მღებრივისას.

შასი ოთხი მანათი ადგილობრივ,
ხოლო გაგზავნილი ოთხი მან და ერ-
თი აბაზი. (10—3)

მალაქის გაგზავნა


ამით აუწყებს ბალებსა და ბაღის
მეპატრონეთა, რომ მან აღკრძალა
შემოტანა თბილისში მკუხე ხილისა;
ამისათვის სთხოვს ყველას, ვინც ხი-
ლითა ვაჭრობს, ან ვაჭრობდა, ან
გვარი ხილი, თორემ ვაჭრობა წა-
ართმევს გამყიდველს და გადაჭრის
მას. (3—4)

არწრუნისეულ ქარვასლაში

სასახლის ქუჩაზედ, იძლევა ქირით მალაზიები, სადგურები კან-
ტორებისა, სავაჭრო სახლებისა და საწყობებისათვის. პირობების
შეტუობა შეიძლება ქარვასლის კანტორაში. (25—10)

ინგლისის მალაზია

თი ს-ამოქუვანი **მაკ-მასტერი**

ამაგრებს თმას და ადრინდელ
ფერს აძლევს, ფასი ერთი შუ-
შისა 2 მან., გაგზავნილი 2 მა-
ნეთი და 28 კაპ. 

აქვე ისეილება ქინის ჰომადა
თმების გასამაგრებლად. ფასი 1
მან., სწრაფი თავის ტკივილის
მოსასპობლად, ტუალეტის საშო-
ნი, ღუხები და სხვ. (100—53)

ვაჭრობა საღებავებით

მაქსიმის ამხანაგობისა (ზრაფის ქუჩა მუხეუმის პირდაპირ.)

საღებავები ხელი და თხელი მებავებული ზეთით.

ლაქი ზეთიანი და სპირტისა, სხვა-და-სხვა გვარი ხანბალი (კისტი)
და ყოველნაირი კუთვნილებანი საღებავით ვაჭრობისა — აქვე შეიძლე-
ბა იზოვან ერთგვარი **თხალი ნივთიერება**, რომელიც სინოტივს
აქილებს თავიდან. ხე, ქვა ანუ ავური, ამ ნივთიერებით დაფარული
(Enduit hydrofuge) — მიუკარებელია სინოტივსათვის.
სხვა ქალაქებშიც მოთხოვნილებანი კმაყოფილდებიან დაუკვინებ-
ლად. (70—44)

მაზანდა

ხორავისა, რომელიც იყიდება თბი-
ლისის ბაზრებში, ღუქებში და ხელ-
და-ხელ 1 აგვისტოდან 16 აგვისტომ-
დე 1884 წ.

გამომცხვარი ჰური რუ-
სეთის ფეჭილისა — — 1 გირ. 5 კ.
აქაურის ფეჭილისა: პირ-
ველის ხარისხისა — — 1 გ. 2 1/2
მეორისა — — 1 გ. 2 კ.
იმავე ფეჭილ. თორეში გამომცხვარი:
პირველი ხარისხის — 1 გ. 4 1/2
მეორისა — — 1 გ. 3 კ.
მესამისა — — 1 გ. 2 1/2

ჯვარის-მამი ჰური:

პირველი ხარის. ღავაში 1 გ. 4 1/2
მეორის ხარის. ღავაში 1 გ. 3 1/2
მესამისა — — 1 გ. 3 კ.

ძროხის ხორცი:

პირველის ხარისხისა — 1 გ. 8 კ.
მეორისა — — 1 გ. 7 კ.
სუკი . . . — 1 გ. 15 კ.
ცხვრის ხორცი — 1 გ. 8 კ.

ღორის ხორცი:

პირველის ხარისხისა — 1 გ. — კ.
მეორისა — — 1 გ. — კ.

რაინის ზუა

თბილისიდან ქუთაისისკენ მიდის
8 საათზედ და 31 წამ. დილით

თბილისიდან მარტო საშურამდინ
3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.

თბილისიდან ბაქოსკენ
10 საათზედ და 45 წამ. დილით.
(სამზახათობით სანქარო 10 ს. 58 წ. დამ.)

ქუთაისიდან თბილისისკენ
12 საათ. და 25 წამ. შუადღ. უკან.

ქუთაისიდან ბათუმისა და
ფოთისკენ
5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.

ბათუმიდან თბილისისკენ
8 საათ. დილით.

ფოთიდან თბილისისკენ
8 საათ. და 45 წამ. დილით.

ფოთიდან ბათუმიდან მომავალი
თბილისში შემოდის
10 საათზედ და 25 წამ. დილით.

მარტო საშურიდან მომავალი
თბილისში შემოდის
8 საათზედ დილით

ბაქოდან მომავალი შემოდის
თბილისში
2 საათ. და 30 წამ. შუადღის უკან.
(მარტოგობით სანქარო 7 ს. 53 წ. დამ.)